

შპს გურიის მინერალური რესურსების ჯგუფი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2024 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს გურიის მინერალური რესურსების ჯგუფი დაფუძნდა 18.08. 2022 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 437076209.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მოსამართია ოზურგეთი სოფ მთისპირი

კომპანია დღ-ს გადამხდელად დარეგისტრირდა საქმიანობის დაწყებამდე

პ

კომპანიის წილის მფლობელები არიან: თენგიშ შარაშიძე, იოსებ დარჩია, შპს პროგრეს 2012

კომპანიის დირექტორია თენგიშ შარაშიძე

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის

საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო

საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, კომპანია

აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2022 წლის დაარსებისთანავე, კომპანია

წარადგენს ფინანსური მდგომარეობის



ანგარიშგებას, 2022 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2022 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2022 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს

ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ასახულია ფუნქციონალურ ვალუტაში ლარში ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და

ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციები,

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე

საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსურია ქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთისაზეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსსფასს 11 განყოფილების

„ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად,

შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა

ბ) კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.



კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე თავდაპირველად ფინანსურ აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საეჭვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არა ფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა; ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის



საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. სალარო აპარატების რაოდენობა 0 ცალი. გაყიდვები ხორციელდება მხოლოდ საბანკო ბარათების საფუძველზე.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანია შეისყიდის ძირითადად ნაღდი ფულით მოსახლეუბისაგან ნედლეულს, გაუთხავი თხილის სახით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.



ელი

500 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება
ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში შედის ბიოლოგიური აქტივები:

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი,

ო

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად



ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით,
სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით
აქტივის გაუფასურება
ძირითადი საშუალების ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ტექნიკა-მოწყობილობები 10 -25 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი 6-15 წელი
ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და
არამატერიალური აქტივების გატესტვა
გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ
აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ
შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი
აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და
შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი
ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება
შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი
დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში
სავაჭრო ვალდებულება
სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით
აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო
ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად
ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით
საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა
ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.
დაბეგვრა
კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო
კანონმდებლობის შესაბამისად.
გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ
გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები
ამონაგების აღიარება
კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება,



მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია . თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.



საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ძირითადი საშვალეების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადები: ძირითად საშვალეებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურეობის ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებაზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასების



სისწორის შემოწმება. საადრიცხო შეფასების მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებასა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები:

კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომოვალ ფულად ნაკადებს. ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომოვალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ეკონომიკური ფაქტორები, რომლების უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში მნიშვნელოვანი კომპანიის შესახებ არ მომხდარა

დირექტორი: თენგიზ შარაშიძე



კომპანიის დასახელება

ბალანსის უწყისი - 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს გურიის მინერალური რესურსების ჯგუფი

სკ 437076209

აქტივები		
მიმდინარე აქტივები:	2024 წ	2023 წ
ნაღდი ფული	0	0
საბანკო ანგარიში	111569	54509
დებიტორული დავალიანება	328 389	1 221 509
საეჭვო ვალების რეზერვი	0	
სულ დებიტორული დავალიანება	328389	1221509
სასაქონლო მარაგები	798346	312551
ნედლეული	0	
წინასწარ გაწეული ხარჯები	82235	498241
სხვა მისაღები თანხები	0	
მთლიანი მიმდინარე აქტივები	1320539	2086810
ძირითადი საშუალებები:		
შენობა ნაგებობები	1720435	517743
დაგროვილი ცვეთა	0	0
სულ შენობა ნაგებობები	1720435	517743
მანქანა დანადგარები	1200400	310000
დაგროვილი ცვეთა	0	0
სულ მანქანა დანადგარები	1200400	310000
მოწყობილობა და დანადგარები	240200	107008
დაგროვილი ცვეთა	0	0
სულ მოწყობილობა და დანადგარები	240200	107008
ავტომობილები და ტექნიკა	1670430	1312216
დაგროვილი ცვეთა	0	0
სულ ავტომობილები და ტექნიკა	1670430	959062
მიწა		830474
მთლიანი ძირითადი საშუალებები	4831465	2724287
არამატერიალური აქტივები:		
ლიცენზია და პატენტი	111401	111401
გუდვილი	0	
მთლიანი არამატერიალური აქტივები	111401	111401
მთლიანი აქტივები	6263405	4922498
მიმდინარე კოეფიციენტი	3,11	5,72
სწრაფი კოეფიციენტი	1,23	4,86

ვალდებულებები და კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები:	2024 წ	2023 წ
კრედიტორული დავალიანება	397014	328947
დარიცხული გადასახადები	0	0
დარიცხული ხელფასები	0	
ავანსად მიღებული შემოსავლები	0	
მოკლევადიანი სესხები	0	0
მიმართ	16520	16325
საგადასახადო ვალდებულებები	10755	18894
სხვა		913
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	424289	365079
გრძელვადიანი ვალდებულებები:		
გრძელვადიანი სესხები	8 477 086	4 416 816
გადავადებული გადასახადები		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		0
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	8477086	4416816

მთლიანი ვალდებულებები	8901375	4781895
კაპიტალი:		
საკუთარი კაპიტალი	0	
გაუნაწილებელი მოგება	-2 637 970	140 603
მთლიანი კაპიტალი	-2637970	140603
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	6263405	4922498
სესხი/კაპიტალი	-3,21	31,41
ვალდებულებები/კაპიტალი	-3,37	34,01



მოგება-ზარალის უწყისი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სკ 437076209

შემოსავლები:	2024 წ	2023 წ
მთლიანი გაყიდვები	0	1 054 705
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი		
წმინდა გაყიდვები	0	1054705
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		
მარაგები პერიოდის დასაწყისში		
შესყიდვების ხარჯები	995 939	677 136
მარაგები პერიოდის ბოლოს		
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	995939	677136
საერთო მოგება	-995939	377569
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	882415	210597
ტრანსპორტირების ხარჯები	0	0
ქირა	0	0
რეკლამა		
კომუნალური ხარჯები	0	0
საოფისე ხარჯები	0	0
საბანკო მომსახურების ხარჯები	0	0
დაზღვევა		
უიმედო ვალების ჩამოწერა		
ქონების გადასახადი	0	0
რემონტი	0	0
სხვა ხარჯი	20000	23710
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	902415	234307
საოპერაციო მოგება	-1898354	143262
ცვეთა და ამორტიზაცია	204690	2659
საპროცენტო შემოსავალი	0	
საპროცენტო ხარჯი	675529	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		
მოგების გადასახადი	0	
დივიდენდი	0	
წმინდა მოგება (ზარალი)	-2778573	140603



საკუთარ კაპიტალში ცვლილებების წლიური ანგარიშგება

2024; წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს დასახელება:

სსს
კორიკ

იურიდიული მისამართი: საქართველო, ოზურგეთი ჩოხატაურის 20

საქმიანობის სახე:

ბენტონიტური თიხების მოპოვება ექსპორტი

ზომის ერთეული:

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები და დაფინანსება	აკუმულირებული მოგება- ზარალი	სულ
31.12.2022ბოლო	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა*	-	-	-	-
01.01.2023 საწყისი	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი	-	-	-	-
კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
31.12.2024 ბოლო	-	-	-	-



თ.